



№ 15 (1289) აპრილი 1968  
**საქართველო**  
გამოცემის 45-ე წელი უბანი 20 კპბ

— რა მოუვიდა თქვენი სოფლის კლუბს?  
— საჭიროა გახსნის დღეს ტაფით დაინჯა.

ნ.ა. ჯ. ლოლუასი



გოჭი: რამ წამოგიყვანათ უმაღლესში მოსაწყობად, ვერ გაივით, როგორც წილს, გატეხს აღარ იღებენ?!

## გვკივნაული საკითხის გალაჭრა

**საჭირო** იყო ერთი მტკივნეული საკითხის საჩქაროდ გადაჭრა. დირექტორმა გამოიძახა მთავარი ინჟინერი და თხოვა, აზრი გამოეთქვა. — მეც თქვენი აზრისა ვარ! — უპასუხა მთავარმა ინჟინერმა. დირექტორი სამმართველოს უფროსმა გამოიძახა და ჰკითხა, რა აზრისა ხარ ამ საკითხზე. — ასი პროცენტით ვეთანხმებით! — იყო პასუხი. სამმართველოს უფროსი ტრესტის მმართველმა გამოიძახა. — უშენიშვნოდ ვიზიარებ თქვენს აზრს, — განუცხადა სამმართველოს უფროსმა. რადგან ტრესტის მმართველს საკუთარი აზრი არ ჰქონდა, ამიტომ მთავარ ინჟინერს დაურეკა. — დირექტორს ვეთანხმები ყველაფერში. — უპასუხა მთავარმა ინჟინერმა. ტრესტის მმართველი ახლა დირექტორს დაუკავშირდა. — ჩემი აზრი ზუსტად ემთხვევა სამმართველოს უფროსის აზრს! — მოახსენა თავისი აზრი დირექტორმა. ტრესტის მმართველმა ხელმეორედ იხმო სამმართველოს უფროსი. — აზრი არ შემიცვლია, ყველაფერში ვეთანხმებით! ტრესტის მმართველი ჩაფიქრდა. შემდეგ ავტოკალამი ამოიღო და დოკუმენტს წააწერა: „მთლიანად ვეთანხმები დანარჩენი ამხანაგების აზრს!“ ხელი მოაწერა, თარიღი დაუსვა და საქმეებში ჩააყვრებინა. ასე უმტკივნეულოდ გადაიჭრა ის ერთი მტკივნეული საკითხი.

თეზურ ჩახუნაუზილი

მელიტონმა ხელქვეითი — იუსტინე, შალვა, გრიშა, კიკა, ძუკუ და ჭიჭიკო ნათლობაზე დაჰპატიჟა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილიშვილის ნათლებად შეარჩია ნიკო, ნინო; არც მოტყუვდა: მოუტანეს „მოსკვირი“ და პიანინო.

დრო გავიდა. მელიტონი პენსიაზე გაამწესეს... აღარ ჰქუხდა მისი სიტყვა კრებებსა და თათბირებზე.

მას ეგონა, ძველებურად მოართმევდნენ ძვირფას რამეს, იუბილეს მოსაწყობად, ასწორებდა დღეს და ღამეს.

კარგა მაგრად დაიხარჯა და გამართა იუბილეს, დაჰპატიჟა შალვა, ძუკუ, ჭიჭიკო და იუსტინე...

ყოველ მათგანს ხელთ ეჭირა რაღაც შეკრულ-შეხვეული, სუფრა იყო დიდებული, ღვინო — ასჭერ შეკრეული.

მეორე დღეს, რომ გასინჯეს მორთმეული საჩუქრები, ნახეს ბარე ათი წყვილი შიბაქები, ფაჩუჩები...

ლადო ხვედურელი

# იუსტი-

შინაიდან დაინტერესებულ პირთა ჭირვეულობითა და დაჟინებით საიუბილეო ზეიმების ვადები „რ ა ღ ა და გ ი მ ა ლ ო“ კაბასავით ისე და მოკლდა, რომ იუბილეების გადამხდელთა მომხვეჭელურ, პირადი განდიდებისა და გამორჩენის მიღების გაშიშვლებულ მიზანს მაინც ვეღარ ფარავს და ეს მიზანი ახლანდელ მოდასაყოლილ ქალთა მუხლებივით შიშვლად გამოიყურება, გადაწვევით, მკითხველს გაგაცნო საკითხის ისტორია:

1. საიდან წარმოსდგა სიტყვა იუბილე. 2. რისთვის დასჭირდათ იგი პირველ იუბილარებს. 3. რისთვის დამჭირდა მე ამ წერილის დაწერა (ამას ბოლოს გაიგებთ).

მ ა შ, და ე ი წ ყ თ:

იუ ბ ი ლ ე ძველი ებრაული სიტყვაა და რელიგიური შინაარსიდან დაუცვლელი წლისთავის საზეიმოდ გადახდას გულისხმობს. ძველი ებრაულიდან გავრცელებულა სიტყვა იუბილე და მისი შინაარსი სხვა ხალხებში. ლათინურად ეს სიტყვა jnbilaeus-ად იწერება და იმავე შინაარსით იხმარება, როგორც ძველ ებრაულში.

პირველად იუბილე გადარიბების საფრთხის წინაშე მდგარმა რომის შეჭირვებულმა პაპმა ბონიფაციუს მერვემ მოიწადინა ჩაეტარებინა. ეს ის

# მატარებელი

**გვერდითი** კუბის კარი ხრიგით გაიღო. ხოვრა კვახივით მოპრიალებულთავიანმა კაცმა სათვალთან შემათვალა.

— სადა ვარ, ნეტავი?  
— ზესტაფონი გავიარეთ, მგონი...

პაუზა.  
— შეხედე, კაცო, ქარი ეძალევა, მარა ყვაფი მინც მაგრად დგას ტელეფონის ბოძზე!

მეც ყვაფს მივაპყარი მზერა: წაბლის ხის ნახშირივით შენის-კარტიანი ყვაფი ტალღების ქიმზე შემდგარი ნავევით ირწვოდა ქარისაგან, მაგრამ ფრთებით იწონასწორებდა სხეულს.

— ღმერთს რა ვუთხრა, — არ მეშვებოდა ახალგაზრდობილი, — ყვაფისათვის სამასი წელი გაიშვებოდა, ჩვენთვის კი — ასიც არა.

— რას იზამთ, ასე დაუწესებია ბუნებას.

— რას ვიზამ კი არა, ხელში რომ ჩამაგდებინა ის ღმერთია თუ რაღაცა, სულ ღერ-ღერად დავაწიწვინდი წვერ-ულვაშს.

პაუზა.  
— დაიხრუკა, კაცო, ჩვენთან ყველაფერი, თბილისში კი დღე ისე არ გავა, არ მოეინფლოს.

პაუზა.  
— ბიჭოს, ეს რა ხრჩოლეა, ნეტა რა წარმოებაა?  
— მგონი, ფერო უნდა იყოს.  
— აკი მითხარით, ზესტაფონი გავიარეთო?

— მგონი, შევეცილი...  
— ჰოო, საკუთარი შეცდომის აღიარება დიდი პატიოსნებაა.

პაუზა.  
— რიონში იცის დიდი ქარები, ნეტავ, ახლა თუ ჰქრინან?  
— არ ვიცი, ბატონო!..  
— შე კაცო, ახალგაზრდა კაცი ხარ, ყველაფერი უნდა იცოდეს. შენხელა რომ ვიყავი, ვერავინ ვერაფერს გამომაპარებდა.

პაუზა.  
უცებ დრო ვიხელეთ, ჩემს კუბეში ჯიქივით შევიჭერი, მივუხლოვდი ლოგინს და მოჭრილ ხესავით დავეცი. მალე ჩამეძინა. საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ ავდექი, კარები ნელა გავაღე, თავი გავყავი თუ არა, სათვალეებთან მკითხა:

— ძალიან მამაცი ყვაფი ჩანს, ქარი ცდილობს, გადმოავდოს ბოძიდან, მაგრამ ნურას უკაცრავად! მე უკანვე შეებრუნდი.

**ზორის ბულია**



— კეტის ჭადი, ისრიმ-მაცვალში ჩადებულ ვიწვილა, ქონდრით შეზოლილი ჰყინტი ყვავილი, ჭურის ღვიწო მომენატრა და ჩამოვადი...  
— მე არ მომენატრე, შვილო?

## წიგნის მოსურნეთა დასახელებად

ბონიფაციუს მერვე გახლდათ, რომელზედაც ამბობდნენ: დაძვრებოდა მელასავით, მეფობდა ლომივით და მოკვდა ძალივით.

თავის თავზე უზომოდ შეყვარებულმა და პატივმოყვარეობით გამოთავყვანებულ შემთვრალმა ბონიფაციუს მერვემ შეაჩვენა საფრანგეთის მეფე ფრიდრიხ მეორე არაგონელი, რის გამოც მისი სალაროს შემოსავალმა საგრძნობლად იკლო. ხარბმა და გაუმადლარმა პაპმა, სიმდიდრის მოხვეჭის მიზნით, თავისი სატახტო ქალაქი მარადიულ ქალაქად გამოაცხადა და მორწმუნეთ პეტრეს ტაძარი ცოდვების განტეგების ადგილად მიუჩინა.

თავისი განზრახვა რომ სისრულეში მოეყვანა, ბონიფაციუს მერვემ 1300 წელს რომში მთელი საქრისტიანოს „თავყრილობა“ დანიშნა. ასე ჩაეყარა საფუძველი პირველ იუბილეს, რომელიც ყოველ ას წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო. ბონიფაციუსის სიკვდილის შემდეგ 50 წელმა განვლო. საქრისტიანოს ახალი პაპი — კლიმენტი მეექვსე მოველინა. პაპის ტახტზე მორჩმით მჯდომარე კლიმენტი მეექვსემ იფიქრა: სიმდიდრის მოხვეჭის ასეთი იოლი გზა ჩემმა წინაპარმა კარგა ხნის წინათ გამოიგონა და თუ მე ქრისტიანებს უფრო მოკლე ვადაში, 50 წელიწადში ერთხელ, დავუნიშნავ ცოდვების მოტევე-

ბას, მაცხოვარსაც ვაამებ და ჩემი შემოსავალიც ერთი ათასად გაიზრდებოთ. თქვა ეს და ცოდვების მიტეგება, დადგენილი ყოველი 100 წლიდან, 50 წლამდე დაიყვანა და გამდიდრდა კიდევ.

მომდევნო პაპმა ურბან მეექვსემ იფიქრა: 50 წელი ქრისტიანებმა რომ ითმინონ და მძიმე შეცოდებანი კისერზე აწვეთ, მე რა სარგებლობა მექნებოთ და ცოდვების განტეგების ვადა ოცდაცამეტ წლამდე შეამცირა. ე. ი. იუბილე — ცოდვების განტეგება — 33 წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო. ეს იმით დაასაბუთა, რომ მაცხოვარმა ამ ქვეყნად მხოლოდ ოცდაცამეტი წელი იცხოვრა.

ცოტა უფრო მოგვიანებით, პაპის ტახტზე მოკალათებულმა პიუს მეორემ, ცოდვების განტეგების ეს ვადაც შეცვალა და 25 წელზე დაიყვანა...

მერე, თავიანთ წინაპრებზე კიდევ უფრო მეტად ვერცხლისმოყვარე და ანგარებიანმა პაპებმა, ეს ვადა 10 წლამდე შეამცირეს.

ბონიფაციუს მეცხრემ და იოანე ოცდამესამემ ხომ სუყველაფერს ერთად მოუნდომეს გადასანსვლა. მათ დიდად „იზრუნეს“ ცოდვის შვილებზე, ტანსაცმელი შემოიხიეს, მჯიღების მკერდში და სახეში ცემით გაეწამნენ და დაადგინეს, რომ რომში ჩასვლა და პეტრეს ტაძრის მონახულება აღარ

იყო საჭირო. ცოდვილთ ადგილზევე შეეძლოთ ცოდვების განტეგება, თუ პაპების მიერ გამოშვებულ ინდულიგენციებს შეიძენდნენ. ამ ინდულიგენციებს, ცოდვის განსატეგებელს, რომელშიაც ცოდვილნი სხვადასხვა შეცოდებებისათვის სხვადასხვა გამოსაღებს იხდიდნენ, მათი წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებში ჰყიდდნენ და ამით ცოდვილთა რიცხვს „ამცირებდნენ“.


ასე ჩაეყარა საფუძველი იუბილეებს და ასე იქცა იგი იუბილართა გამდიდრებისა და ქვეყნგრძნობების უღირს საშუალებად შუა საუკუნეების რომში.

მაგრამ ცოდვილნი და იუბილეების მოსურნენი ამ ქვეყნად კიდევ ბევრნი დარჩნენ და ბოგინობენ. მეც მათ რიცხვში ვარ, და თუ ამ წერილის გამოქვეყნების ერთი თვის თავზე იუბილეს გადამიხდით (აბა, ერთ წელს რა მომაცდევინებს!) და საჩუქრებს ბლომად მომართმევთ (ტიტულესა და რაიმე წოდების მონიჭებაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს), დიდი მადლობელი დაგრჩებით.

მარად თქვენთვის მლოცველი, იუბილეების მოსურნე  
**ბონიფაციუს X**  
[ერისპატოზაში — ელგუჯა]



— ლინტინი...  
— ბინტინი...  
— სპირტინი...  
— ფული!



ნ. ბ.

— ბუთონი მშენებელი პარი მინერატი, ღვინო რა ღვინო ბუთონიანი?  
— ნუ ინტერბანობთ, ბატონო, სწორად ბუთონიანდები უკრაინა!



ნ. ბ.

— რამდენი მინდა ბუთონიანი, ბატონო კალმისტარი ღვინო კალმისტარი...  
— ფულს არ აკრიბობთ ილიაობა?

რას გადვუტრ ჩაბ? გადვუტრ ჩაბ და წყლის სხვა ბინადართა განადგურებას...  
ეს არ ყოფილა წარსულში, ეს მიზნად არ დაუსახავთ არც სილუქუიანებსა და არც მინდორებს, არც პომპეუსსა და არც ალა-მაჰმად-ბანს...

ჩვენს დროში, 1968 წელს, ეს მიზნად დაისახეს ჩხორთი წაუქეღმა ზაურ მალაქიას ძე პაპავამ, თბილისის მკა — ბიჭურ სფეროს ძე ლობინიძემ, რაინდ მზიარის ძე გურაძემ და გურამ აღმეს ძე პიტაძემ...

გამაჩვი, მშობიელ ჩხორთიულებს ქების მეტი რა იქნებოდა, მაგრამ ბუნებრივად, თითო მანძილი ყველა ოჯახშია და ეს სიტყვიანი შედადობრილია ჩხორთიუებს რაინის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროს ინჟინერად ზაურ პაპავამ, რომელმაც თვითონმავეც მთლიანად ნიღბისა და კათ კაცის სახელს...

ეს სამე ასე დაუწყო:  
ზაურ პაპავამ ქუთუბულში მცენარეობის ფუნქციონირების განყოფილება მ. ტონა ლიბინიძემ და ციანშენადნობის შხამი თავისი სახლის სარდაფში გადამალა.  
— ღმერთი მოწყალეა, თავის გაჩინილ ხეხილის ნერგებს გასანზიბად არ გაიბეჭდებს, ეს მხაშქმითაქები რაღა საჭიროა? — გაიფიქრა ზაურმა.

ეს ჯერ კიდევ გახლდა უნდა გაიფიქრა მან თბილისში. მან ახტობსტარისტის კანონის მანსანი მძღოლა მივიღი ანსაბილი და რაღა მ. ტონა შხამი საველედავლოდ გადამალა, თბილისში, მზიარის ქ. მანში მცხოვრებ ბიჭურ ლიბინიძის სახლზე ასეთი შინაარსის დანებდა აფრინა: „ქარაგი მისსავალია ბიჭები წამართვი კვამი“.

ლიბინიძემ მამინე მონიბაღლა „სანდა ბიჭები“ — რაინდ გურაძე და გურამ იბატონიანი. მათთან საქმიანი მოლაპარაკების შედეგად, ლიბინიძემ განცხადება დაწერა უფროსის სახლზე: მას ლობინიძე, ხათო მსაქვი გაჩინა მცემცეცვალი და ქ. ფოთში მ. ბიჭურ ლიბინიძის გადსასაცხენებლად გატხოვით მსაქვი ბიჭურ ავტობუსში გამობრუნდებოდა.



— რატომ არ ბატონიანი, კალმისტარი რაინდ გურაძე?  
— მათაშენის სახელი ღვინოა და მისა მის ბატონიანი!

დამწებებულ კაცს ხელს როგორ არ გაუმართავდენ და სკეჩი მოაკვირებინებ ბიჭურ, რაინდ და გურამმა.

ზაურ პაპავამ ჩხორთიუები (რ. ი. ფ. ო. რ. ა. ფ. ო. ი.) სტუმრებს მეგრული დღელები მოუხარისა და სანთლის არყით გაუმართავდენ, „მიცვლელის ჩამოსხვევებზე“ სანი დღე და სანი დღე „რა, რა, რა“ და „ფრც-ფრც“ ატარებს რაინდობა. არ მკონდათ სანთლები და საცეცხლე სკეჩი თუ რა?

რეისს 50 კართი დაეკრიბებოდა ავტობუსი „ზოლ-168, მან-58“ ჩხორთიუდან 16 აპრილს, მამლის მეოთხე კვირულს, გამოვიდა და კერის დღედაქმნაჩვენ აიღო.

სანი მძღოლა სკეჩს რაინდობით მიიტოვდა. შეზარბოვნებულს ჩაიბეჭდის ემინილით უფროდ. სკეჩისნენმა სიცილ-ხარხარში გაატარეს დრო სახლი მილოციის კორსი ქვეყანაულებს შუკრისხევის საცდნეა პუქტამდე. ამ დაწყო მათი დიბეჭდობა. ავტობუსი შემაოწმებულად გაიჭრეს სახელოდო ავტობუს-ბეჭებებზე — მილოციის კაინებმა აუქსანდრე მეტრეველს, ლეიტენანტმა იოანე ილიაძემ, ლეიტენანტმა ალექსანდრე კოლბორცმა და; ლეიტენანტმა ნოდარ კობინაძემ...

ლოპაპირი სიმშვიდით ჩამოვიდნენ ავტობუსიდან კობინიძე, გურაძე და ციანშენიანი. პრეტენზიებით მივიდნენ მილოციის მუშაებთან და წარდგინეს სახუთები, რომლის სისწორეშიც ციანშენიანი მივიდა იყო.

— ფოთში მიცვლელად ჩავსვყავი, პატივი ვიცი, ნათელი დაადგეს, თქვე რამდინა იყო, — თქვა ბიჭურამ.

— ესენი პართალ ხალს ერეება, — ჩილაპარაკა რაინდ გურაძემ და დუბაბა, — თუ ღმერთი გეწამი, დროზე გავემშობი, ისედაც დამწებებულები ვართო.

მილოციის მუშაებმა ოპორტუნულად, სკეჩის ცოდნით გასიჭეს ავტობუსიდან რაინდობის თავის ქალინა გრეტეცემ-მუშებელი 50 კართი დათვალეს, დამკვიდრდნენ... ახლ შეეცხებო, მასსკევილი რა... — ეწერა კასრებზე.

მილოციის მუშაებმა თავზიანად ითხოვეს მძღოლებს

ნ. ბ. პაპავაძის



— რატომ ჩაბოდი ასე მიუღონდალად?  
— რას მინ ბატონიანი, ყოფილად მისიბრება, ვითომ რამე აკრიბოს!

გორის რაინოლიციანი წაყოლოდნენ და ბოლოდუ გარეკითი სკეჩის ვითარება.

სკეჩი გათვლად, თავის დაჭერნა მიტოვებოდა ახალი შეიძლება და ახლა შესანიშნავად სახელად... ბუქა-ბუქა რეის ზომას — მხატვარსა და მუქარას მივათავსებ... ბუქა-ბუქა რეის აურზაური, სკეჩში ჩაერთა სავაბო მხატვრობა ქვეყანაყოფილების უფროსი, მართი გორიგი დამკვიდრებელი და ავტობუსი მილოციის გორის რაინდობის მუშა მუქარის.

გაიმთავა უნის რწმუნებულ დიბეჭდის განიშვლს დაევიდა. ბიჭურამ, რაინდმა და გურამმა ბაღში მიყოლილი თევზებით კიდევ ერთხელ გაიფართალეს და გამომძღოლის ღმერთსა სცადეს, მაგრამ ახალად: ბიჭურამ გასტრება ვეღარ მოახერხა.

მილოს და ბოლოს, დადინდა, რომ მამბიბებს ეს შხამი შეეცხებინ მისაქმელად უნდათ.  
— რეისების მძღოლს დღეობა უნდა გადაეხადოს, ჰოდა, იქ გვიწოდოდა მრევეტება, კალმის, ციარის და სხვა-სხვა... — სკეჩის რაინდობის მუშაებებმა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ შხამით მიყოლილი თევზი ერთი წლის მანძილზე საქართველოში გამართულ ყველა დღეობასა და ქორწილს ეყოფოდა. მისი ერთი წვეთი ხომ უმაღლეს კაცს ადამიანს და, ალბათ, მისთ მოწამულული თევზი არ დაეკრიბა ხალს დღეს. ბორბორბორული ყველაფერი წყალში ჩაყარათ, მართ შხამი დროთა წყალში ჩაყარული.



— ეს არ გახუზობავით არც სილუქუიანებსა და არც მილოციებს...

სამედნიეროდ, გადაჩრჩენ ჩვენი მდინარეების... „ნელად მიღვალს მილოდნე მტკვარი ატყავს“ და, ციანშენი, — რას მუტუბუბებს, ვითარის რას იცავს?“

ქვე, მტკვარი, მზიარის და აკრიბავი არაკრიბავი... „ქართველს“ დღეს ჩაერთა გავლელს, ღვინო ასეთი დანამოცი იხილოს, დროდელად არ დასაჯოს დამკვიდრები და ციანშენს გასა არ გაუყენოს?

შალვა მანიშვილი.

მილოციის გორის რაინდობის უფროსი.



ნ. ბ. ლიბინიძის

— რატომ ჩაბოდი ასე მიუღონდალად?  
— რას მინ ბატონიანი, ყოფილად მისიბრება, ვითომ რამე აკრიბოს!



ნ.ბ. ი. ანდროპოვილისა

— ვაჟაჟა! ჩვენი ტელეფონი აშუშავდა!  
— მამი იმიტომ რეპავს, გიძია, ძირა ბაღიხა-  
დეთო.

ხუცესი მემამულესთან იყო სტუმრად და ისე დათვრა, ცხენზე მიჯდომა ვეღარ მოახერხა.  
იმედგადაწყვეტილი ხუცესი წმინდანებს შეევედრა: „წმინდაო გიორგი, წმინდაო ილია, წმინდაო ნიკოლოზ, მომეშველეთ!“ ამ სიტყვებით გაექანა ცხენოსი, მაგრამ ვერ მოხონა, ცხენს ზედ გადაეგლო და მეორე მხარეს მოადინა ბრაგვანი.  
— ოხ! — საყვედურით თქვა მან, — წმინდანებს დახმარება კი შეეფხოვე, მაგრამ ყველასათვის ერთად კი არ მოთხოვიაო.

**მართი** მღვდელი მთვრალ გლეხს შეხვდა:  
— შეილო ჩემო! კარვად დაფიქრდი და წყლის სმას მიჰყავი ხელი. არაყი ყველაზე დიდ სახლებსაც კი ანგრევს.  
— წყლის სმაც საშიშია: იგი ხომ ყველაზე დიდ ხომალდებსაც ძირავს, — უპასუხა გლეხმა.

**მართხალ** პასტორმა გადაწყვიტა, სააღდგომო ქადაგების დროს მრევლი აეტირებინა. მოჰყვა ქრისტეს წამების ამბებს და ყველანი ატირდნენ. პასტორს შეებრა ზღაპრი და დაამშვიდა:  
— ნუ სტირით, შვილნო ჩემო! ეს ხომ დიდი ხნის წინათ იყო და იყო კი საერო-ოოდ?!

**მართ** მღვდელს ძალი მოუყვდა. მღვდელსა და მის ცოლს ძალზე დაწყდათ გული: კარგი, ჭკვიანი ძალი იყო, საწყალიო.  
მზარეულმა რომ ვი გაიგო, ატირდა.  
— რა გატირებს? — ჰკითხა მღვდელმა.  
— როგორ თუ რა მატირებს, — უპასუხა მზარეულმა, — ვინღა მომეხმარება აწი თქვენი თევშების დარეცხვაში?

**გზის** პირას გოგონა ჩამოგდარა და ტალახისაგან რაღაცას აკეთებს.  
— რას აკეთებს? — ეკითხება გზადმიმავალი პასტორი.  
— ეკლესიას.  
— პასტორსაც გააკეთებს?  
— ტალახი თუ მეყო, კი.

ანგარიშები მოტყუვდა

— ჩეხური ლუდი გაქვთ?  
— კი, ბატონო!  
— ორი ბოთლი!  
— კი, ბატონო!  
— მწვანელი, მწვანელი, შემწვარი სულგუნი, ცხელი მჭადი, წიწილა, კარგი ბატონის მწვადი, იცოდე ისეთი, ენის წვერზე რომ დნებოდეს, — სულმოუთქმელად მიაყარა პარმენმა.  
— კი, ბატონო!

ახალგაზრდა ოფიციატმა სამზარეულოს მიაშურა.  
„ქველადფერს რა შემაჭმევს, მაგრამ კაცი ხარბია... თყალი ჭამს და თვალი სვამსო. ვუყურებ მაინც, დავტყუებო. მერე ოფიციატს ან დამლაგებელს შეარგოს ღმერთმა, მადლია.“ — გაიფიქრა პარმენმა, მომდგარი ნერწყვი გადაყლაპა და რესტორანში მყოფნი შეათვალა. როგორც ყოველთვის, აქაც შენიშნა კანტიკუნტად ნაცნობები. განსაუთრებით შანურულად თეთრხალათიანები უქნევდნენ თავს.

„ჰ, რა დრო იყო მაშინ! მაგრამ ეს ოხერი მიკროინფარქტი...“  
„ეჰ!.. ვის შეიძლო მისებრ დროსტარება ან მოლხენა? იოსებ? ჰა, ჰა! კარგი, თუ კაცი ხარ! ორბოთლიანი ღყო, მერე კი რას რომავდა, თვითონაც არ ეხმოდა. ბიკენტის? სამი ბოთლის შემდეგ ხელით წასადები ხდებოდა.“

ამ ფიქრებში გახვეული ღინჯად, აუჩქარებლად და შერჩევით შეიქცეოდა შემწვარ-მოხრახულს. ჭამდა და ვერ ძღებოდა, სვამდა და ვერ იქლავდა წყურვილს. სუფრა, რომ პირწმინდად მოასუფთავა, ასანთს ბოლო მოატეხა და კბილებს ჩამოუფრა. მერე დიდკაცურად ხელსაწმენდით ტუჩები გაიპაროსნა და ოფიციატს გასძახა:  
— ანგარიში!

— კი, ბატონო! — აჩქარებით მიუახლოვდა ოფიციატი, უბის წინ ნაკიდან გულმოდგინედ ჩამოწერილი ანგარიშის ფურცელი ამოხია და წინ დაუდო... „დევიატ ტრიცატ!“ ყოველგვარი რბილი ნიშნის გარეშე! პარმენმა წარბები შეკრა. ვინ-ვინ და მან იცოდა ოფიციატების ხრიკები. ამიტომაც ანგარიშისათვის არც დაუხედავს, ისე განაცხადა პროტესტი.  
— ეს რა არის, შე დოყლაპია, პრაქტიკანტი ხომ არა ხარ?!  
— კი, ბატონო! — ოფიციატი შეტბა. ერთ წამში გუნებაში ისევ ჩამოთვალა დანახარჯი. ყველაფერი სწორი იყო. კაპიკი კაპიკში იჭდა. პარმენმა ხელსაწმენდი გამოგლიჯა, მოხდენილად მკლავზე გადაიგლო, მიმტანს თეთრი ხალათის ჯიბიდან გრძელი ფანქარი ამოაძრო, საანგარიშო მოიპარვა და გაჰკრა-გამოჰკრა:  
— ორი ლუდი — ორი მანეთი!  
— არა, ბატონო, მა-აანდ ოცდაათი კაპიკი სწერია!  
— შენ სუ!.. ახლა ჩვენ გვატალე...  
— მწვანელი აბაზი, მწვანელი აბაზი, ესეც შენი ეჭვი აბაზი; მადი — ორი მანეთი, გაცხელებაც მანეთი, სულ სამი მანეთი. წიწილა შეიდი მანეთი, შემწვარი სულგუნი — სამი მანეთი, მწვადიც — სამი მანეთი, ჰო, ერთი პური — მანეთი... სულ ოცდასამი მანეთი და ოცი კაპიკი! — დასძინა პარმენმა და ჯამს ორი მსხვილი ხაზი გაუსვა... ამას წყალი არ გაუვარო. აჰა ოცდახუთიანი. აიღე, დოყლაპია!

— კი, ბატონო! — წამოიძახა გახარებულმა ოფიციატმა, არ გადაიფიქროსო, ფულს საჩქაროდ ხელი წამოავლო და სხვა მაგიდას მიაშურა! პარმენმა ანგარიშშიუცემლად გადახედა ნასუფრალს და ის იყო ალაგებას უნდა შესდგომოდა, გაახსენდა რომ იგი უკვე ერთი წელია, რაც ამ რესტორნიდან პენსიაში გავიდა.  
რიმა ლეზივილი



ნ.ბ. ჯ. ლოლუასი



— დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გისურვებ, ჩემო გებია!

# ნიანგის ესტრადა

## ნიანგს

ხურთისიდან ყანობისკენ არ გაბრწყინდეს, არ წახვიდე! გზა არ ვარგა, ფეხს მოიტეხ, თერგზე ხიდი აღარ გვიდევს. დაგვიპირდნენ და ველოდებოდნენ, ვგრძნობთ, ლოდინი გადავვიტანს. გვეკითხებით: გამოდგება და პირება გზად და ხიდად?

ნოდარ ტუჩაშვილი,  
(ყაზბეგის რაიონი).

## ნიანგი

ცოტა კიდევ დაიცადეთ, მეც შორიდან გეშველებით, თუ არა და, სხვა გზა არ გაქვთ, — მოითხოვეთ ვერტმფრენები!

## ნიანგს

სადგ. დიდუბიდან სადგურ ცემამდე (ეს ზუსტად ვიცი, ხშირად ვარ გზაში) სამი მანეთი, ოც კაპიკ ნაკლებ, არს მატარებლის ბილეთის ფასი. სადგურ ცემიდან სადგ. დიდუბემდე — სამი მანეთი, სამოც კაპ. ნაკლებ! იქნებ, ნიანგო, შენ დამეხმარო და განმმარტო, რად არის აგრე?

ლ. ვინიკოვი,  
ქ. თბილისი.

## ნიანგი

მიკვირს, ეგ როგორ ვერ გაგიგია, ამ შეგნებულ კაცს რა დაგმართინა? აქედან, ძმაო, არის აღმართი, იქიდან კიდევ თავდაღმართია!

## ნიანგს

ამჯერად შენ მოგადექით, მანამდე სად არ დავრბოდით: დიღია ჩვენი სოფელი და ჰქვია პატარა ფოთი. სოფელს ჩაუდის რიონი, უწყალოდ ანგრევს ნაპირებს, რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ, თავის დახრჩობას ვაპირებთ. გაგვანადგურა, წავლეკა, ლამის სახლებიც წავგართვას, გულს ცეცხლი გვიკიდიდა და ფნატრობთ ჯებირთა მაგართა. მანამ გვიშველეთ, ნიანგო, (გსახავთ ჩვენს დამხსნელ რაინდად) ჩვენს პატარა ფოთს რიონი სანამ დიდ ფოთში ჩაიტანს!

გიორგი მოღვაძე,  
ხობის რაიონი, სოფელი პატარა ფოთი).

## ნიანგი

საწყალ პატარაფოთელებს ვერ გშველით, გიხდით ბოდისა. სირცხვილი წყალთსამმართველოს მუშაკებს ქალაქ ფოთისა!

## ნიანგს

ჩვენს სოფელს წყალი არა აქვს, (სხვა მხრივ კი ღმერთმა დალოცა) ხელმძღვანელობა შეგვიპირდა, გამოგიყვანთო წყაროს წყალს. გადავიხადეთ ფული და გვეტუმრნენ მშენებლებიცა. მხიარულები ვიყავით, ვთქვით: „წყაროს წყალი გვედირსა!“ გზები სულ ათხარ-დათხარეს, შიგ ჩაალაგეს მილები, მიატოვეს და თიანეთს გაბრუნდნენ კმაყოფილები. მილები ყინვამ დახეთქა, გზები ტალახში ჩაეფლო, პატარ-პატარა ტბებზე ხომ არ ვლაპარაკობ საერთოდ. ოთხი წელია ასე ვართ, არც გზები გაქვს და არც წყალი. რას გვირჩევ, ჩვენო ნიანგო, ბოლომდე იყოს, რაც არის?

ცაცია კორუღელი,  
(თიანეთის რაიონი, სოფელი ჩაბანო).

## ნიანგი

მაგ საქმის მესვეურები ყოფილან, ჩემო ცაცია, ხელმარცხიანი, ხელმრუდე, მატყუარა და ცაცია.

## ნიანგს

ჩვენს მშვენიერ რაჭისუბანს კლუბი აქვს და ბოსელს უგაგს, კულტბრიგადებს ვემალებით და სირცხვილის ალი გვბუგავს. ყოველ წუთში ჩამონგრევას ველით. ვენდოთ ჩამქრალ ვულკანს? დაგვეხმარე გაჭირვებულთ, რაჭისუბნის ხათრი თუ გაქვს!

ნიკო რეხვიანი,  
(ბოლნისის რაიონი, სოფელი რაჭისუბანი)

## ნიანგი

ძმებო, რაჭისუბნელებო, შეძრულეობთ აგრე რიგად, პირადად მე თქვენ არ გირჩევთ გაჩერებას კლუბსა შიგან. ხელი უნდა გაანძრიოთ, დატრიალდეთ, გაისარჯოთ, შეადგინოთ თხოვნის არზა და მიმართოთ რაისაბჭოს!

## ნიანგის ფოსტა

შურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეჯიას

ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის აღმინისტრაციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა განიხილეს შურნალ „ნიანგის“ მიმდინარე წლის მე-11 ნომერში გამოქვეყნებული კარიკატურა „მალაზიას აავადმყოფო“, სადაც, სხვა „წაწოლილ“ ნაკეთობათა შორის, ნაჩვენებია აგრეთვე ჩვენი ქარხნის მიერ გამოშვებული სარეცხი მანქანა „თოლია“.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ: მართლაც, გასულ წლებში იყო შემთხვევები, როცა ტექნოლოგიური ხასიათის სხვადასხვა მიწვევების, ძირითადად კი კოოპერირებული მიწოდების წესით მიღებულ ნაკეთობათა მდარე ხარისხის გამო ჩვენთან გამოშვებულ იქნა დაბალხარისხის პარალელები.

მაგრამ ქარხნის კოლექტივმა დროულად მიიღო გადაწყვეტილება სარეცხი მანქანების ხარისხის გასაუმჯობესებლად. განხორციელდა მანქანების მთლიანი

უნიფიკაცია, ტექნოლოგიურ პროცესთა სრულყოფა და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

რაც შეეხება იმას, რომ ქ. თბილისის ზოგიერთ მაღაზიაში აღმოჩნდა რამდენიმე „წაწოლილი“ სარეცხი მანქანა, ეს იმის მიზეზი კი არ არის, რომ ცუდი ხარისხისა და არ ყიდულობდნენ, არამედ ის, რომ საქართველოს სამეურნეო საქონლით ვაჭრობის რესპუბლიკურმა ბაზამ არ გაითვალისწინა თბილისის მშრომელთა უზრუნველყოფილობა სარეცხი მანქანებით და ფონდების განაწილებისას არ შეისწავლა მოსახლეობის მოთხოვნილებანი.

გთხოვთ ერთვალისწინით შემოაღწიწილი და გამოაქვეყნოთ ჩვენი განცხადება „ნიანგის ფურცლებზე“.

ა. ხარაზი,

ქ. ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის დირექტორი.



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო კოლეჯია: ზ. ბოლქვაძე (პ/მ. ვლივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. ბალაჩონია, ზ. ნიშნინაძე, (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, თ. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის შურნალი „ნიანგი“.

# ნიანგი

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32, საერთო განყოფილების 93-10-78.

1 ბილისი, Сатирико-юмористический журнал «Нианги». სსრკ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამოცემულია. ხელმოწ. დასაბ. 26/VII 1968 წ. ქალ. ზომა 70x108/8 1 ნაბ. ფურც. 14. ფიზიკურ ფორმატა რაოდენობა 1. პირობით ფორმატა რაოდ. 2. სსრკ. კვ ც-ის გამოცემამოსხის პ/კომინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შიპს. № 2683. ფე 02373. ტირაჟი 90.300.

Handwritten numbers and stamps: 517, 7, 11-11-61, and a circular library stamp.

შეერთებულმა შტატებმა, თავიანთი ჯარების სარჩენად, დასავლეთ გერმანიის ჯიბიდან ასტრონომიული თანხა — 18,2 მილიარდი მარკა ამოქაჩეს.



ნ.ბ. ლომიძისა

— წინ იეზურა, სულელო, კომუნიზმი მოდის!


ბაილანდმა შეერთებულ შტატებს 100 მილიონი დოლარის საფასურად 10.000 ჯარისკაცი გამოუყო ვიეტნამში საბრძოლველად!



ბაჰის ჯარისკაცები



ბელ-აჰმედი არაღინ ფიქრობს იმაზე, რომ არაბეთის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ექსპანსიური პოლიტიკა შეიძლება თვით ისრაელის წინააღმდეგ შეტრილდეს.



ბუმერანგი